

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე!

შენიშვნები შესვლისას:

- გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა;
- დაიმუშავეთ ხელები შესასვლელში განთავსებული სადღინფექციო სითხით;
- წარადგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი დროებით მოიხსენით პირბადა იდენტიფიცირებისთვის.

სარეგისტრაციო მაგიდასთან:

- რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადა;
- გაიკეთეთ მარკირება;
- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა;
- ხელმოწერისთვის გამოიყენეთ რეგისტრატორის მაგიდაზე განთავსებული ინდივიდუალური მოხარებისთვის განკუთვნილი კალმისტარი. ამავე კალმისტარით ისარგებლეთ ფარული კენჭისყრის კაბინაში;
- მიიღეთ რეგისტრატორისგან ბაჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.

საარჩევნო უბანზე არ დაიშვებით:

- თუ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის დროს დროებით არ იხსნით პირბადას;
- თუ აღმოჩნდა, რომ უკვე გავით მარკირება.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მოგეცემათ:

- თუ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის დროს დროებით არ იხსნით პირბადას;
- უარს აცხადებთ მარკირებაზე.

კენჭისყრის კაბინაში:

- საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები შემოხაზთ თქვენივე სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი.
- თუ გავიფიქრდით საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.
- თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები, უფლება გავით ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

კაბინიდან გამოსვლის შემდეგ:

- კონვერტში მოათავსეთ დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები;
- კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში;
- ინდივიდუალური მოხარებისთვის განკუთვნილი კალმისტარი დათოვთ სპეციალურ კონტეინერში;
- კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ დათოვთ კენჭისყრის შენობა;
- გასვლისას ისარგებლეთ ხელის სადღინფექციო სითხით.

